ინფორმაცია

გურამ ყიფიანი, მადონა მშვილდაძე,
ანნა დულარიძე

ვანის მუნიციპალიტეტის სოფ. ციხესულორის ტერიტორიაზე 2014-2015 წლების არქეოლოგიური კვლევა-ძიების ანგარიში

საანგარიშო წელს (2014 წლის 7 ივლისადან – 7 აგვისტოს ჩათვლით) შესასწავლად მოინიშნა VI უბნის XXI ნაკვეთის სამხრეთ-აღმოსავლეთი მონაკვეთი შესაბამისი კვადრატთა ბადით და VI უბნის XVI ნაკვეთის ასევე სამხრეთ-აღმოსავლეთი არეალი[1]. არქეოლოგიური ინტერესის მქონე ტერიტორიის საფუძველია პრექცია – UTM, ზონა – T – 38, კოორდინატთა სისტემა WGS 84 (ნახ. 1).

მიზანი VI-XXI უბნების გათხრების წარმოებისა ის იყო, რომ საბოლოოდ დაგვედგინა კლდოვანი თავდაცვითი სასიმაგრო ზოლის კონტური, რომელიც სამხრეთიდან იცავდა ურბანულ სივრცეს. კვლავ გამოიკვეთა 4,50 მ-ის სიღრმის ჩაღრმავება, რომლის კალთების დახრის კუთხე 60˚-ია, როგორც ჩრდილოეთის, ასევე სამხრეთით, მათ შორის მოქცეული სასიარულო ბილიკი კი 2,50 მ-ი სიგანისაა. კალთები სწორხაზოვანია არაა, მათ რამდენადმე ტალღისებური კონტური ახასიათებთ (ნახ. 2; ტაბ. I; II, 3; IV, 1).

ჭრილში კარგად ჩანს სტრატიგრაფიული სურათი (იხ. ნახ. 2; ტაბ. I, 1) კლდოვან იატაკზე დავარდნილია ქვიტკირის ადგილმონაცვლებული კედლის მასივი (ნახ. 5). გვხვდება უსისტემო ქვაყრილები, სადაც ქვიშაქვის კვადრთა ფრაგმენტებიც დასტურდება (ნახ. 4). საკმაოდ მაღალი შრე წარმოშობილა აქ სტერილური მოყვითალო ნაშალი თირის ფენისა, რაც ცხადია საუკუნეთა მანძილზე პროტოხიზმის კალთების ჩარეცხვას გამოუწვევია (ნახ. 6). გვხვდება „ლინზების“ სახით თიხნა-

1 ტერიტორიის დანაწევრების სისტემის შესახებ იხ. ექსპედიციის 2012 და 2013 წლის ანგარიშები. ჟურნ. „კადმოსი“, თბ. 2013, №5. გვ. 334-381; „კადმოსი“, თბ. 2014, №6. გვ. 493-527.

რი, კირქვის ანატკეცებიანი შრეებიც, რომელთა წარმოშობის შესახებ რაიმეს თქმა ახლა შეუძლებელია (ნახ. 2).

მონაკვეთი, რომელიც VI-XVI-ში თავსდება, აღწერილი თხრილის ჩრდილოეთით მდებარეობს. მის უშუალო გაგრძელებაზე (ნახ. 1). ეს მონაკვეთი იმით გამოირჩევა, რომ დიდი რაოდენობით მოზვინულ, წითელი ფერის თიხას შეიცავს, რომელშიც მრავლად გვხვდება კაჟი, როგორც ნუკლეუსები, ასევე ანატკეცებიც. ასეთივე სურათი ჩანდა 2012 და 2013 საანგარიშო წლებშიც (ტაბ. VII, 1-2), VI-XVII სამხრეთ-აღმოსავლეთ და VI-XVIII სამხრეთ-დასავლეთ მონაკვეთებში. თხრილის ჩრდილო-აღმოსავლეთ კუთხეში გამოვლინდა იმპორტული ამფორის ფრაგმენტები (ნახ. 3; 4; ტაბ. IV, 2; ტაბ. V, 1-2) მისი სრული სახით წარმოდგენა სავსებით შესაძლებელია, თუმცა, სამწუხაროდ ყურები არ აღმოჩენილა, რაც დიდი ინფორმაციის შემცველი იქნებოდა.

წინასწარი მონაცემებით, ამფორა ქერსონესული წარმოშობისაა. მისი აგურისფერი კეცი, პირისა და ყელის პროფილი, ჭიქისებური და ამავე დროს ბიკონუსური ქუსლი, შიდაპირის ტალღისებური პროფილი, კეცში კირის მარცვლოვანი ჩანართები და მრ. სხვ. სწორედ მის ქერსონესულ წარმომავლობაზე მიანიშნებს და ძვ.წ. IV-III სს-ს განეკუთვნება[2] (იხ. ნახ. 5; 6; 7; 8; ტაბ. IV, 1).

აქვე ამფორის გვერდით ცალყურა ქოთანიც აღმოჩნდა (არასრულად). მოწითალო, ქვიშისა და ქარსის მინარევებიანი კეცით (ნახ. 10). მსგავსი ცალყურა ქოთნები (ზომებითა და ფორმით) არაერთია ვანის ნაქალაქარზე მიკვლეული.

ამავე ფენაში გამოვლინდა კიდევ ერთი ცალყურა ქოთანი მუქი ყავისფერი კეცით. ორივე მათგანი ასევე, ძვ. წ. IV-III სს-ით თარიღდება.

თხრილის სამხრეთ-აღმოსავლეთ კუთხეში დიდი ზომის ჩაკირული ქვევრი გამოვლინდა. მისი სიღრმე 250 სმ-ს უდრის და რამდენადაც მისი აზომვა მოხერხდა, ჩანს, რომ მისი ტანის კედლების ტენდენცია კვერცხისებურობისაკენ იხრება (ნახ. 3; ნახ. 12). მხოლოდ ამ ერთადერთი მონაცემით შესაძლოა წინასწარ იგი ადრეშუასაუკუნეებს მივაკუთვნოთ (მხოლოდ პირობითად).

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ აღწერილი ფართობი და მისი მიმდებარე მინდორი საუკუნეების მანძილზე ინტენსიურად იხვნებოდა. გუთნის კვალი თავისუფლად სწვდებოდა ამ მონაკვეთში კულტურულ ფენებს და აქ გამოვლენილ კერამიკული ფორმების ფრაგმენტული ხა-

2 იხ. და შდრ. И. Б. Зеест, Керамическая тара Боспора М. 1960. გვ. 97-99. ტ. XXI; Р. Ахмеров, Амфоры древнегреческого Херсонеса. ВДИ 1947, 1. გვ. 160 და შმდ.; Г. Д. Белов, Некрополь Херсонеса Классической эпохи. СА. XIII, 1950. გვ. 272 და შმდ;

სიათი სწორედ ამის შედეგი უნდა იყოს (იხ. სტრატიგრაფიული ჭრილების ანასახები გუთნების მკვეთრი კვალით 2012 წლის ანგარიშში).

ამავე ფენაში იქნა გამოვლენილი ორი ფრაგმენტი ლითონის ჩამოსასხმელი ქურისათვის აუცილებელი ატრიბუტისა, კერამიკული მილი-ძაბრებისა (ნახ. 11). აქვე ანტიკური ხანის რაღაც სახელოსნო შეიძლება ვივარაუდოთ, მით უმეტეს, რომ მოზვინული თიხნარის ზედა სტრუქტურაში ლითონის წიდის გროვებიც დასტურდება (ტაბ. III, 2). ამდაგვარივე კერამიკული ძაბრი ვანის ნაქალაქარის ცენტრალურ ტერასაზეც აღმოჩნდა (07:1-99.325) 1999 წელს, სამწუხაროდ, ჩვენი შემთხვევის ანალოგიურად კონტექსტის გარეშე (არ გამოქვეყნებულა).

საველე სეზონის მანძილზე რამდენიმე შემთხვევით აღმოჩენასაც ჰქონდა ადგილი. უპირველესად ესაა ბრინჯაოს სამაჯურები, რომელიც საკვლევი ტერიტორიის დასავლეთით 400 მეტრის დაშორებით, მთა ყორღანოს ბორცვიდან (ამჟამად იქ სოფლის სასაფლაოა) ძლიერი წვიმების შემდგომ ჩანს დაცურებული (ნახ. 13) (გამორეცხილი სამარხები?).

ამდაგვარი სამაჯურები კარგადაა ცნობილი არქეოლოგიური სამყაროსათვის და მათი თარიღიც კარგადაა დადგენილი ძვ.წ. I ს. ფარცხანაყანევში ჩვენი შემთხვევის ანალოგიურად სამაჯურის ორივე ტიპი ერთდ აღმოჩნდა[3].

ექსპედიცია გარკვეულ ყურადღებას უთმობდა დაზვერვებს სოფ. ციხესულორში, ე.ი. სოფლის ჩრდილო რიონისაკენ მიმართულ დახრილ კალთას, რომელზეც განფენილია სოფლის ძირითადი დასახლებანი.

იქ, სადაც წინა სეზონის მანძილზე ექსპედიციამ რომაული თერმების კვალს მიაგნო (ადგილობრივი მაცხოვრებლის ზაურ კორძაძის კარმიდამო), კვლავ აღმოჩნდა ის დეტალები, რომლებიც სწორედ აბანოთა გასამართად გამოიყენებოდა – კერამიკული პლინტუსები. ერთ-ერთი ნიმუში გარკვეულ ინტერესს აღძრავს. მის კიდეებზე ერთმანეთის პარალელურად თითების ანაბეჭდები იკითხება (ნახ. 14; ტაბ. VIII). ჩვენთვის უცნობია ამ ეტაპზე მსგავსი მარკირებანი რას აღნიშნავდა, რაოდენობას, ოსტატს, პლინტუსის მდებარეობას თუ კიდევ რაიმე სხვას?

ექსპედიციამ დაზვერვებით მოსინჯა ტერიტორია, სადაც დაგეგმა 2015 წლის კვლევა-ძიების ძირითადი დატვირთვა. ესაა მაღალი ბორცვი სოფლის ცენტრში და მის ჩრდილოეთ კალთაზე, რომელსაც „ბანოური“ ეწოდება. ეს ბორცვი სოფლის ჩრდილოეთ კალთის ნამდვილი

3 იხ. Н. Гогиберидзе, Браслеты и гривны V-Iвв. до н.е. Тб. 2003. გვ. 52; სურ. 80, 136.

დომინანტია. მის ფერდობზე დარღვეული ანტიკური ხანის ნაგებობების კვალი შეინიშნება, ხოლო ამა თუ იმ მიზნით გამოყენებულ ქვიშაქვის კვადრებზე პირონთა (ვერტიკალური ლითონის სამაგრი ღერძები) და უწყვეტთა (ჰორიზონტალური სამაგრები) ბუდეებია ამოკვეთილი, ანუ ბერძნულ სამშენებლო მიღწევებთან გვაქვს საქმე (ტაბ. IX).

ექსპედიციამ კიდევ ერთხელ დაადასტურა და ამით თითქმის მოსაზღვრა ქალაქის სამხრეთიდან მზღუდავი თავდაცვითი ზოლის კონტური. განმტკიცდა მოსაზრება, რომ ქალაქს ფართო სავაჭრო ურთიერთობება უნდა ჰქონოდა ანტიკურ სამყაროსთან (ქერსონესული ამფორა, ხოლო წინა წელს ქიოსური ამფორის ფრაგმენტები) და დასახა მომავალი 2015 წლის გეგმა.

2015 წლის საანგარიშო პერიოდში შესასწავლად მონიშნული იქნა ციხესულორის ქედის ჩრდილოეთ კალთაზე რამდენიმე პუნქტი (H ზონის, XVI სექტორის მე-3 ნაკვეთი – GPS მონაცემები: N – 42.08602˚; E – 042.49565˚. El. – 148m.), თუმცა გათხრების ლოგიკამ გვიკარნახა რამდენადმე გაგვეფართოებინა კვლევა-ძიების არეალი.

თხრილი N1, რომელიც H, XVI, 3 ე.წ. „ნაეკლესიარის“ ტერიტორიაზე მდებარეობს. ხის ეკლესია ამ ტერიტორიაზე გასული საუკუნის, XX ს-ის 20-იან წლებამდე ფუნქციონირებდა. მისი მიმდებარე ტერიტორია ძირითადად სასაფლაოა. გასული საუკუნის 30-იან წლებში მის დასავლეთით ორსართულიანი სკოლა აიგო, რომელიც 1962 წელს ხანძრის შედეგად განადგურდა. მის ადგილზე კვლავ სკოლა აიგო (ერთსართულიანი) და ისიც ამჟამად ნანგრევებს წარმოადგენს.

ზემოთ აღნიშნული სასაფლაოს ტერიტორიალური შესაძლებლობების ამოწურვის შემდგომ ახალი სასაფლაო ე.წ. „ყორღანოს“ სამხრეთ ფერდზე გაიმართა.

აღნიშნული პუნქტის გათხრის შედეგები შემდეგნაირია. 35-40სმ-ის სიმაღლის ჰუმუსური ფენის შემდგომ იწყება სტერილური თიხნარი (ნახ. 15), რომელიც დელუვიურ კონგლომერატამდე ვრცელდება. ცხადია ყამირი არქეოლოგიურ მასალას არ შეიცავდა, მაგრამ ჰუმუსში გამოვლინდა როგორც გვიანანტიკური სინოპური ამფორის, ასევე კოლხური ამფორის ქუსლი, ელინისტურ და გვიანანტიკურ კრამიტთა (მხოლოდ კერამიდები) და აგრეთვე გვიანშუასაუკუნეების ჩაკირული, ოვალურგანივკვეთიანი ქვევრი. მისი მონტაჟისას ჩაიჭრა როგორც ჰუმუსი, ასევე თიხნარი (იხ. ნახ. 15, 16 – 1, 2; ტაბ. X).

ამავე ზონის საზღვრებში (GPS მონაცემები: N – 42.08567˚; E – 042.49556˚. El – 155m.) გამოვავლინეთ წყლის სარეგულაციო ნაგებობა. იგი წარმოადგენს სხვადასხვა ჯიშის ქვებით ნაგებ წყლის გამტარს. წყობა კლასიფიცირდება როგორც opus incertum, ხოლო „კირხსნარი“

– როგორც opus caementicum, იგი შედგებოდა მდგრადი ქვების დიდი ანატკეცებისგან, კირისაგან და „მტვრის“ მინარევებისგან (ტაბ. XIII). ვიზუალურად ამ ნაგებობიდან მიღებული ნიმუშები სავსებით შეესაბამება რომაული ბეტონის შემადგენლობას[4] (ნიმუში კვლევებისათვის გადაეცა სამხატვრო აკადემიის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის ლაბორატორიას (ნიმ. N1-504)).

ამ საინჟინრო ნაგებობის შემორჩენილი სიგრძე 3,4მ-ია. იგი წყალს არეგულირებს NW-დან – WO-სკენ. ამ ნაგებობის „თავი“, ე.ი. კედლებსშორისი მანძილი 62 სმ-ია, ხოლო მისი ბოლო 48 სმ-ი. ახლა ძნელია დადგენა, რა რეზერვუარისკენ მიემართებოდა იგი, და 3 მ-ის მანძილზე კედელთა ესოდენი შევიწროების შედეგად მიღებული წნევა ითვალისწინებდა თუ არა წყლის ნაკადის აღმართში აყვანას. გაიწმინდა თუ არა არხი, თიხნარიდან მაშინვე იფეთქა განლექილმა წყალმა.

წინასწარ გვინდა განვაცხადოთ, რომ მოვახდინეთ ყველა თხრილის რეკულტივაცია, როგორც ამას წესდება ითვალისწინებს, გარდა ამ ერთადერთისა. ეს მოხდა ადგილობრივ მცხოვრებთა თხოვნით და როგორც „წყარო“ იგი ფუნქციონირებას განაგრძობს (იხ. ნახ. III; ტაბ. XI, XII).

ამავე ზონაში (GPS მონაცემები: N – 42.08455˚; E – 042.49580˚. El – 182m.) გაივლო თხრილი (იხ. ნახ. IV), სადაც დადასტურდა ადრეშუასაუკუნეების სიმაგრის ჩრდილოეთის კედლის ნანგრევი. იგი მოწყვეტილია კალთიდან და კედლის მასივი მრავლად შეიცავს ელინისტური, მეორადი გამოყენების კვადრებს (ნახ. 19; ტაბ. XIV). მათ შორის გვხვდება ხანძრისაგან მთლიანად გაწითლებული თირისა და ქვიშაქვის ქვათლილები (ტაბ. XV). ეს კვადრები ნათელი ილუსტრაციაა ანტიკური კედლის საომარი მოქმედებების ხანძრის თანხლებით განადგურებისა და მოგვიანებით, ადრეშუასაუკუნეებში მათი ხელახლა სამშენებლო მასალად გამოყენებისა.

სამწუხაროდ N2 და N3 თხრილებმა, ე.წ. „ბანოურას ტერიტორიაზე, მოსალოდნელი შედეგი ვერ მოგვცა: 40 სმ-იანი ჰუმუსის შემდეგ (რომელიც სტერილური იყო და არავითარ მასალას არ შეიცავდა) გამოჩნდა სტერილური თიხნარი, რომელსაც 1,20 მ-ის სიღრმეზე მოსდევდა გრუნტი – დელუვიური კონგლომერატები.

თუმცა ბანოურაზე და მის მიმდებარე ფრიად ვრცელ ტერიტორიაზე ჯგუფებად დასტურდება ელინისტური ქვიშაქვისა და კირქვის კვადრები.

4 იხ. Heinz-Otto Lamprecht. Rationalisiertes Bauen durch „Opus caementicium“. Bautechrik der Antike,5. Mainz am Rhein, 1993, გვ. 137-140.

ექსპედიციამ მოსინჯა კიდევ ერთი წერტილი „ყორღანოს“ მთის დასავლეთ არეში, რომელიც ერთგვარ დომინანტურ წერტილს წარმოადგენს ციხესულორის ვრცელ ტერიტორიისათვის. მიუხედავად იმისა, რომ ადგილობრივ მცხოვრებთა ცნობებით ეს მონაკვეთი ნავენახარია და აქ ინტენსიური საპლანტაჟე სამუშაოები მიმდინარეობდა (GPS მონაცემები: N – 42.08532˚; E – 042.49006˚. El – 224m.) გამოვლინდა განადგურებული სამარხი, ცალყურა ქოთნისმაგვარი ჭურჭელით, რიყის ბრტყელი ქვითა (ქოთნის ხუფი?) და ორი ბრინჯაოს სამაჯურით (ნახ. 20, 21, 22; ტაბ. XVI, XVII, XVIII). სამარხი ძვ. წ. IV ს-ს განეკუთვნება. ძვლოვანი მასალა არ შემორჩა.

აღნიშნულ თარიღზე მიგვანიშნებს უპირველესად სამაჯურთა ტიპი და აგრეთვე ყურიანი ქოთნისებური ჭურჭელი. მსგავსი სამაჯურის აღმოჩენის ჯერჯერობით მხოლოდ ერთი ფაქტია დადასტურებული ბეშთაშენში (წალკის რაიონი) და თანმხლები მასალის მიხედვით ძვ. წ. IV საუკუნით თარიღდება[5], ხოლო ქოთნის თითქმის ზუსტი ანალოგია მიკვლეული ანაკლიაში და ავტორთა კოლექტივი მას დაახლოებით ამავე პერიოდით ათარიღებს[6].

ექსპედიცია იძულებულებული გახდა, მისი ვალდებულებებიდან გამომდინარე, ჩართულიყო „ექსტრემალურ“ სიტუაციაში. საქმე ის გახლავთ, რომ ციხესულორისავე ტერიტორიაზე (GPS მონაცემები: N – 42.09227˚; E – 042.49218˚. El – 70m.) მოქალაქე ზაურ კორძაძის საკარმიდამო ნაკვეთში ინტენსიურად მიმდინარეობს მიწიდან კერამიკული ფილებისა და ვერტიკალურად მდგარი მილების ამოყრა (ტაბ. 21). ეს „მილები“ ყველა ნიშნით ჰიპოკაუსტუმის დეტალებია და ახ. წ. IIIს-ით თარიღდება[7].

როგორც ჩანს, ეს კომპლექსი მოზაიკასაც შეიცავდა, რადგან ტერიტორიის მფლობელი სხვადასხვა დროს შემთხვევით მიკვლეულ ფერად კენჭებზეც საუბრობდა.

ექსპედიციამ შეძლო საცხოვრებლის კიბის ქვეშ მცირე ფართობის შეესწავლა. ამ ადგილას წინასწარი პრეპარაციების შემდგომ ნათლად გამოჩნდა ნაგებობის სტრუქტურა – კირხსნარით დაფიქსირებული პლინტუსთა ნატეხები და ბრტყელი რიყის ქვებით მოგებული ფართობები.

5 იხ. Н. Гогиберидзе, Браслеты и гривны. თბილისი 2003, გვ. 42.

6 ხ. დ. მუსხელიშვილი, ლ. ჯიბლაძე, რ. პაპუაშვილი, ნ. პაპუაშვილი, ანაკლია II, თბ., 2000. გვ. 41, ტაბ. 551.

7 T. Ivanov, Die Heizung in der römischen Architektur Mösiens und Trakiens (1-4yh). Jahresberichte aus August und Kaiseraugust 3. Liestal 1983. გვ. 135-145.

ჩვენი დაკვირვებით (პლინტუსთა აღმოჩენის ტოპოგრაფიის მიხედვით, რომელიც დიდად შორდება ზაურ კორძაძის კარმიდამოს), ეს არქიტექტურული კომპლექსი 1 ჰა-ზე ვრცელდება.

გათხრის შედეგად გამოიკვეთა პლინტუსების ჰორიზონტალური 9 რიგი, ხოლო შემაკავშირებლად 10-13 სმ-ის სიმაღლის ფენილები.

ნაგებობის სუბსტრუქცია კირხსნარით შეკავშირებული, მასიური რიყის ქვებისგან შედგენილი პლატფორმაა (ნახ. 23, 24; ტაბ. XIX, XX, XXI, XXII). ქვედა სართული, ჰიპოკაუსტუმი, აქ არ დადასტურდა, რამაც გვაფიქრებინა, რომ ჩვენს მიერ გამოვლენილი ფრაგმენტი ცივ აბანოს, ფრიგიდარიუმს, განეკუთვნებოდა. ამას ადასტურებს პლინტუსთა შორის ჰიდრავლიკური ხსნარის სქელი შრეების არსებობა (წყლის გაჟონვის საწინააღმდეგო კონსტრუქცია). მათი ნიმუშები ასევე გადაეგზავნა სამხატვრო აკადემიის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის ლაბორატორიას (ნიმ. N2-505).

პლინტუსები სტანდარტულია 26x33x4.

უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ზაურ კორძაძის საცხოვრებელშიც და სამეურნეო ნაგებობებში მრავლად გვხვდება ანტიკური პერიოდის კირქვისა და ქვიშაქვის კვადრები და ფილები (ნახ. 27; ტაბ. XXIII). ამავე ეზოში აღმოჩნდა ქვიშაქვის წრიული, 15 სმ-ი დიამეტრისა და 6,5 სმ-ის სიმაღლის „ჭურჭელი“ ირგვლივ პროფილირებული და ცენტრს აცილებული 4 სმ-ის სიღრმის „ფოსოთი“. შესაძლოა, ეს „ჭურჭელი“ აბანოს ინვენტარს წარმოადგენდა (სანელებლის სანაყი?) (ნახ. 26; ტაბ. XXIV).

ფაქტობრივი დადასტურება, ციხესულორის ტერიტორიაზე გრანდიოზული სანიტარული ნაგებობისა, განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს. ის გვაუწყებს, რომ ახ. წ. III ს-შიც ქალაქი სურიუმი აგრძელებს არსებობას და სრულ თანხმობაში მოდის პლინიუს უფროსის (ახ. წ. I ს-ე) ინფორმაციასთან: „კოლხეთის ყველა ქალაქი განადგურებულია და მხოლოდ სურიუმი აგრძელებს არსებობას“. ამას გარდა, ექსპედიციამ „აბანოს“ (რომაული თერმები) ჩრდილოეთით არაერთი ნაკადული და წყარო დაადასტურა (ადგილობრივ მოსახლეობას ეს წყლები სახლში აქვთ შეყვანილი) რითაც, როგორც ჩანს, აბანო სარგებლობდა.

არქეოლოგიურ ექსპედიციას მიმართა ციხესულორის მკვიდრმა გიგა აბრამიძემ. მან ექსპედიციას წარუდგინა ოქროს „ხატის უღელი“ (კისრის რკალი), რომელიც, მისივე ნაამბობის მიხედვით, აივნის ქვეშ შინაურ ფრინველს ამოუძვრია მიწიდან.

ეს ნივთი, კვადრატული განივკვეთის მქონე მავთულის დაგრეხვის შედეგადაა მიღებული და კისერზე კავებით მაგრდებოდა (ცალი კავი

მოტეხილია). მისი დიამეტრი 15,3 სმ-ია და 21,5 გრამს იწონის. შეფერილობის მიხედვით კი მისი სინჯი უმაღლესი კატეგორიის უნდა იყოს.

სრული საფუძველი გვაქვს ვივარაუდოთ, რომ იგი რომელიღაც განადგურებული, მდიდრული სამარხის ნაშთია (ვთქვათ გასული საუკუნის 50-იანი წლების დასაწყისში საცხოვრებლის საძირკვლის თხრისას განადგურებული) და ძვ. წ. IV ს-ეს განეკუთვნება.

მსგავსი სამკაული სამყაროში საკმაოდ იშვიათია. ანალოგიური ნივთი ცნობილია საქართველოში ახალგორის განძიდან[8]. მსგავსი კისრის რკალებს ამავე პერიოდის (ძვ. წ. IV ს-ე) სკვითური სამკაულიც შეიცავდა[9].

ჩვენ მოგვეცა საშუალება, გაგვეთხარა მცირე ფართობი, სადაც თითქოსდა დაფიქსირდა ოქროს სამკაული, მაგრამ იქ არავითარი ნიშანი განადგურებული სამარხისა არ ჩანდა (იხ. ანაზომი 28; ფტ.ილ. XXV).

ექსპედიციამ დაადასტურა, რომ ციხესულორის ჩრდილოეთი ფერდი ქალაქის ძირითადი განაშენიანების არეალია და სამომავლოდ სწორედ აქ გეგმავს შედარებით ფართო მასშტაბიან კვლევა-ძიებას.

ლაბორატორულმა კვლევებმა დაადასტურა არქეოლოგთა ვარაუდები, წყლის რეგულატორიც და თერმების ნაშთებიც რომაული პერიოდის ქმნილებებია. დამატების სახით ანგარიშს თან ერთვის ლაბორატორიის დასკვნითი ნაწილები.

N1-504 ჩატარებული ანალიზების მიხედვით, „მოცემულ ნიმუშში გვაქვს მჭიდა მასალის სახით კარბონატი (კალციტი) და სულფატები (თაბაშირი, შაბი). რკინა-შაბის არსებობა შესაძლოა გაპირობებულია წყლის ხანგრძლივი გამხსნელი მოქმედებით თაბაშირსა და შემავსებელზე. ნიმუშს ვერ მივაკუთნებთ ვერც ჰიდრავლიკურ კირს (თაბაშირის დიდი რაოდენობის გამო) და ვერც პორტლადცემენტს (არასაკმარისად წარმოდგენილი ალიტური და ბელიტური ფაზების გამო). ყველაზე მეტად მასალა მიახლოვებულია რომაულ ცემენტთან, თუმცა სულფატური შემადგენელი მისგანაც განასხვავებს."

N2-505 საცრითი ანალიზის მიხედვით, „ნიმუში წარმოადგენს საშუალომარცვლოვან დუღაბს შემავსებლის ფარდობით მჭიდასთან 9:1. ამასთან, მსხვილი, საშუალო და წმინდა ფრაქციების ფარდობა ტოლია 2:7:1.

ყველა ჩატარებული ანალიზის საფუძველზე შეგვიძლია მოცემულ მასალას რომანცემენტი ვუწოდოთ."

8 იხ. Я. И. Смирнов, Ахалгорийский клад. Тифлис, 1934. გვ. 73, ტაბ. 1.

9 В. Г. Петренко, Украшения Скифии. VII-IIIвв. до н.э. САИ. NД 1-5, 1978, გვ. 144.

ნახაზებისა და ტაბულების აღწერილობა:

ნახაზები:

1. 2012-2014 წლების გათხრების გენერალური გეგმა. თხრილები დანომრილია თანმიმდევრობით: 1. ციხესულორის ნაციხარი, კედელი. 2. კოშკი. 3. 2012 წელს გავლებული თხრილი. 4. 2013 წელს გამოვლენილი წინა თავდაცვითი ზღუდე. 5. 2013 წელს გავლებული თხრილი. 6. 2014 წლის საკვლევი ტერიტორია. 7. 2014 წელს გამოვლენილი სიტუაცია. 8. ქალაქის სამხრეთის მხრიდან მზღუდავი კლდოვანი თავდაცვითი ზღუდე. არსებული მონაცემები და რეკონსტრუქცია.
2. კლდოვანი თავდაცვითი ზღუდე. გენგეგმაზე N6. 1. გეგმა. 2. ჭრილი დასავლეთისაკენ. 1 – ჰუმუსი. 2 – ნაშალი თირი. 3 – თიხის შრე კირქვის ანატკეცებით. 4 – ქვაყრილი. 5 – ქვიტკირის ადგილმონაცვლებული კედლის მასივი. 6 – სტერილური ნაშალი თირი. 7 – თირი – კლდე.
3. თხრილი N7. VI-XVI, გეგმა. ჭრილი: 1 – ჰუმუსი. 2 – თიხნარი კაჟის ნუკლეუსებითა და ანატკეცებით, ამფორა. 3 – ჩაკირული ქვევრი.
4. ამფორის არე პრეპარაციის შემდგომ. 1 – ამფორის ფრაგმენტები. 2 – ცალყურა ქოთანი. 3 – „სტერილური“ მოზვინული თიხა.
5. ამფორა. ანაზომი.
6. ამფორის ყელი. პოზიცია პროფილიდან, ყურის ფრაგმენტიდან.
7. ამფორის ყელი. ყელი და მისი პროფილი.
8. ამფორის ძირი. ასახულობა და პროფილი.
9. ცალყურა ქოთანი. ანაზომი.
10. ცალყურა ქოთანი, ანაზომი.
11. გამდნარი ლითონის კერამიკული სადინარები. ანაზომი.
12. ადრეშუასაუკუნეების ქვევრი. ანაზომი რეკონსტრუქციის ცდით.
13. შემთხვევითი აღმოჩენა. ბრინჯაოს სამაჯურთა ფრაგმენტები.
14. თითის ანაბეჭდებით მარკირებული პლინტუსი. სოფ. ციხესულორი (ზაურ კორძაძის კარმიდამო). ანაზომი.
15 – თხრილი H ზონა, 14 სექტორი, 3 ნაკვეთი. 1. გეგმა: 1 – ქვევრი, 2 – კირი, 4 – თიხნარი; 2. ჭრილი: 1 – ქვევრი. 2 – კირი. 3 – ჰუმუსი.

4 – სტერილური თიხნარი. „ნაეკელესიარი“ – GPS მონაცემები: N – 42.08602˚; E – 042.49565˚. El. – 148m.

16 – 1. კოლხური ამფორის ძირი; 2. გვიანანტიკური სინოპური ამფორის ქუსლი.

17 – „წყარო“ წყლის სარეგულაციო ნაგებობა, შელესილი „opus caementicum“-ით: 1 – გეგმა, 2 – ჭრილი. 1 – წყლის ნაკადი, 2 – თიხნარი, 3 – კედელი. GPS მონაცემები: N – 42.08567˚; E – 042.49556˚. El. – 155m.

18 – თხრილი N, II, 19. ადრეშუასაუკუნეების ციხის („ციხესულორის ნაციხარი“) ჩრდილოეთის მხრიდან მოწყვეტილი კედელი ელინისტური ხანის, მეორადი გამოყენების კვადრებით. 1. გეგმა, 2. ჭრილი: 1 – ჰუმუსური ფენა კირქვის მინარევებით, 2 – ჩამოქცეული კედლის მასივი, 3 – კულტურული ფენა, დაქუცმაცებული კერამიკის შემცველი. GPS მონაცემები: N – 42.08455˚; E – 042.49580˚. El. – 182m.

19 – ელინისტური ხანის კვადრები და ფილები ჩაქცეული კედლის მასივიდან.

20 – ძვ. წ. IV საუკუნის განადგურებული სამარხის ნაშთი. 1 – გეგმა, 2 – ჭრილი. GPS მონაცემები: N – 42.08532˚; E – 042.49006˚. El. – 224m.

21 – 1. ქოთნისებური ცალყურა ჭურჭელი. 2. რიყის ბრტყელი და ოვალური ქვა („ხუფი“?) ძვ. წ. IV ს-ის განადგურებული სამარხიდან.

22 – ბრინჯაოს სამაჯურები, ძვ. წ. IV ს-ე.

23 – რომაული აბანოს ფრაგმენტი გახსნის შემდგომ.

24 – რომაული აბანოს ფრაგმენტის განაკვეთი. GPS მონაცემები: N – 42.09227˚; E – 042.49218˚. El. – 70m.

25 – კირქვის წრიული „ჭურჭელი“ (ნელსაცხებლის დასამზადებელი?), რომაული აბანოდან.

26 – ანტიკური ხანის ქვათლილი, ჩაშენებული ზაურ კორძაძის სამეურნეო ნაგებობაში.

27 – ოქროს გრეხილი მავთულისაგან ფორმირებული „ხატის უღელი“ გიგა აბრამიძის ეზოდან. GPS მონაცემები: N – 42.08514˚; E – 042.49446˚. El. – 211m

ფოტოილუსტრაციები:

I-1-4 – კლდოვანი თავდაცვითი ზღუდე, გათხრების შუალედური საფეხური.

II-1 – ამფორის ტანის ფრაგმენტი. 2 – სოფ. ზედა ციხესულორის დომინანტური ბორცვი „ბანოური“. 3 – კლდოვან ჩაღრმავებაში ჩაცურებული კედელი.

III-1 – სტრატიგრაფიული სურათი მე-7 თხრილის ჩრდილოეთ კედელზე: ჰუმუსური, კირის ანატკეცები, თიხნარი. 2 – წიდა სტრატიგრაფიულ ჭრილებში.

IV-1 – კლდოვანი თავდაცვითი ზღუდე, ხედი სამხრეთიდან. 2 – კერამიკის ფრაგმენტები მე-7 თხრილის ჩრდილოეთ არეში.

V-1 – ცალყურა ქოთანი და ამფორის ფრაგმენტები. 2 – ამფორის ყურის ფუძე. 3 – ამფორაში ჩავარდნილი დანახშირებული ხის ფრაგმენტი.

VI – ამფორის ყურის ფრაგმენტი.

VII-1-2 – 2013-2014 წლებში აღმოჩენილი კაჟის ანატკეცები.

VIII-1-2 – პლინტუსი.

IX-1 – ქვიშაქვის გათლილი ფილები. 2 – რეზერვუარის ფუძედ გამოყენებული ქვიშაქვის, პირონთა ბუდეების შემცველი კვადრები.

X. თხრილი H, XIV, 3. სინოპური და კოლხური ამფორების ქუსლები.

XI. წყლის რეგულატორი („წყარო“), ფრაგმენტი.

XII. წყლის რეგულატორი, ხედი აღმოსავლეთიდან.

XIII. შელესილობის ფრაგმენტი – opus caementicum.

XIV. ციხესულორის ნაციხარის ჩრდილოეთის მხრიდან მოწყვეტილი კედელი, ხედი აღმოსავლეთისკენ.

XV. ხანძრისაგან გაწითლებული კვადრი (მეორადი გამოყენების) დარღვეული კედლის სტრუქტურიდან.

XVI. ძვ. წ. IV ს-ის განადგურებული სამარხი, საერთო ხედი.

XVII. ქოთნისმაგვარი ჭურჭელი ამავე სამარხიდან.

XVIII. ბრინჯაოს სამაჯურები ამავე სამარხიდან.

XIX. პლინტუსთა ფენილები.

XX. რომაული აბანოს ფრაგმენტი პლინტუსთა ფენილის გახსნის შემდგომ.

XXI. აბანოს საძირკვლის სუბსტრუქცია – რიყის ქვის ფენილი და კირხსნარი.

XXII. ზაურ კორძაძის სამეურნეო ნაგებობაში ჩაშენებული ანტიკური კირქვის ქვათლილი.

XXIII. პლინტუსთა ნიმუშები.

XXIV. კირქვის წრიული ჭურჭელი რომაული აბანოდან.

ნახაზები და ტაბულები:

1



2



3





4



5



6





7

8





9



10

11



12



13





14

15



16







17



18



1



2

19



20



21



22



23



24



25





26



27



I

1.

2.

3.

4.

II

1.

2.

3.

III

IV

V

2



VI

VII

VIII

IX

X

XI

XII

XIII

XIV

XV

XVI

XVII

XVIII

XIX

XX

XXI

XXII

XXIII

XXIV